საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-01/1476 1476-01-2-201904121802

12/04/2019

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ მამუკა ბახტაძეს

ბატონო მამუკა,

გაცნობებთ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორისგან, კრისტინ ლაგარდისგან მივიღეთ შემოთავაზება ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე, რომელიც უკავშირდება კავკასიის, ცენტრალური აზიისა და მონღოლეთის (Caucasus, Central Asia, Mongolia, (CCAM)) შესაძლებლობების განვითარების რეგიონული ცენტრის (Regional Capacity Development Center (RCDC)) დაარსებას. ფონდის ხელმძღვანელობა რეგიონში აღნიშნული ცენტრის დაარსების ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ გადაწყვეტილებას კანდიდატი ქვეყნების მიერ წარდგენილი წინადადებების შეფასების საფუძველზე მიიღებს.

აღნიშნული ცენტრის მიზანია რეგიონის ქვეყნების ფინანსური და ეკონომიკური უწყებების ინსტიტუციური განვითარებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მონაწილე ქვეყნებისა და, ჯამში, რეგიონის ფინანსურ სტაბილურობასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ცენტრი ცოდნასა და გამოცდილებას გააზიარებს ისეთ თემებზე, როგორებიც არის, მაგალითად, მონეტარული და ფინანსური პოლიტიკა, სტატისტიკა და ფისკალური პოლიტიკა, ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების, ექსპერტთა მისიების და სემინარების მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მხოლოდ ერთი რეგიონული ცენტრი არსებობს - ვენის გაერთიანებული ინსტიტუტი (Joint Vienna Institute (JVI)). ახალმა ეკონომიკურმა გამოწვევებმა ცხადყო ფონდის ჩართულობისა და ძალისხმევის გაზრდის საჭიროება რეგიონში შესაძლებლობების განვითარებისთვის, მთავრობებთან მჭიდრო კოორდინაციით, ქვეყნებში არსებულ საჭიროებებზე მყისიერი რეაგირებითა და ტექნიკური დახმარების გაწევით ამ ქვეყნების პრიორიტეტების შესაბამისად.

გაცნობებთ, რომ აპლიკაციის გაგზავნის ვადა იწურება მიმდინარე წლის 31 მაისს. იგი მოიცავს 11 საკითხს, რომლებშიც დეტალურად უნდა აღიწეროს მასპინძელი ქვეყნის მთავრობის მიერ ცენტრის ფინანსური, ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მექანიზმები, მისი განთავსებისათვის საჭირო საოფისე ფართი, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მომსახურების სფერო და მთავრობის მზაობა დააკმაყოფილოს

0114 / თბილისი / სანაპიროს 2 / ტელ.: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail: info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge

სხვადასხვა იურიდიული და ტექნიკური კრიტერიუმი.

დანართის სახით გიგზავნით სააპლიკაციო ფორმასა და მოკლე ინფორმაციას ფონდის რეგიონული ცენტრების გლობალური ქსელის თაობაზე.

ვინაიდან აპლიკაციის გაგზავნამდე ბევრი დრო არ არის დარჩენილი, მიზანშეწონილია, შეიქმნას უწყებათშორისი საკოორდინაციო ჯგუფი საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობით. ჯგუფში ასევე ჩართული უნდა იყვნენ შემდეგი უწყებების წარმომადგენლები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შემჭიდროებული ვადებიდან გამომდინარე, სასურველია შეხვედრა დაიგეგმოს მიმდინარე წლის აპრილის მიწურულს, რათა განხილულ იქნას აპლიკაციაში მოთხოვნილი და თავმოყრილი ინფორმაცია და საქართველოს კონკურსში მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხი. გთხოვთ, გაუწიოთ კოორდინაცია აპლიკაციისთვის საჭირო ინფორმაციის თავმოყრას ჩამოთვლილი უწყებების მონაწილეობით.

პატივისცემით,

პაპუნა ლეჟავა

პრეზიდენტი - მ.შ.
საქართველოს ეროვნული ბანკი